საქართველო

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს წევრი

ჩაქვი, მეგენეიშვილის ქ. №25
ტელ: (032) 2285401

№ 09-02-11/337

02 თებერვალი 2017 წ.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს აპარატის
საორგანიზაციო და საქმისწარმოების
დეპარტამენტის უფროსს

ბატონ **გიორგი ბერიძეს**

ბატონო გიორგი,

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 94-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოგიდგენთ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დადგენილების პროექტს – „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის საჯარო თანამდებობათა რეესტრის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2012 წლის 27 დეკემბრის №19 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე.

გთხოვთ, დადგენილების პროექტს მისცეთ უმაღლესი საბჭოს რეგლამენტით გათვალისწინებული მსვლელობა.

დანართი: -3- ფურცელი

პატივისცემით

დავით გაბაიძე

№ 09-01-02/17
02-02-2017
3 ფურცელი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს ბიუროს გადაწყვეტილება სამართლებრივი აქტის პროექტის
განხილვის პროცედურის დაწყების
შესახებ

ოქმი 4

7 თებერვალი2017 წ.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დადგენილების პროექტი „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის საჯარო თანამდებობათა რეესტრის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2012 წლის 27 დეკემრის №19 დადგენილების ძანადაკარგულად გამოცხადების თაობაზე

დასახელება

უმაღლესი საბჭოს წევრი
დავით გაბაიძე

ავტორი

უმაღლესი საბჭოს წევრი
დავით გაბაიძე

ინიციატორი

საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისია

წამყვანი კომისია

02.02.2017 წელი

შემოსვლის თარიღი

წამყვანი კომისია: 09,02,2017 წელი

საკომისიო მოსმენის ვადა

რიგგარეშე სესია

სხდომაზე განხილვის
საკარაუდო თარიღი

კომისია რომლის დასკვნა საკალდებულოა

უმაღლესი საბჭოს ბიურო ადგენს:

უმაღლესი საბჭოს კომისიებსა და ფრაქციებში დაიწყოს სამართლებრივი აქტის პროექტის განხილვა.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე

დავით გაბაიძე

<u>პროექტი</u>

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს

დადგენილება

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის საჯარო თანამდებობათა რეესტრის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2012 წლის 27 დეკემბრის №19 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ნორმატიული აქტების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 35-ე მუხლის შესაბამისად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

მუხლი 1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის საჯარო თანამდებობათა რეესტრის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2012 წლის 27 დეკემბრის №19-უ.ს.რ.ს. დადგენილება (საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებგვერდი, (www. matsne.gov.ge), 28.12.2012, სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი: 010340000.31.056.016027).

მუხლი 2. ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე დავით გაბაიძე

ჩაქვი,
2017 წლის
№

განმარტებითი ბარათი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დადგენილების პროექტზე – „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის საჯარო თანამდებობათა რეესტრის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2012 წლის 27 დეკემბრის №19 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე

ა) დადგენილების პროექტის მიღების მიზეზი:

როგორც ცნობილია, საქართველოს პრეზიდენტის 2001 წლის 21 ივლისის №286 ბრძანებულების „საჯარო სამსახურის თანამდებობათა რეესტრის შესახებ“ მე-2 პუნქტის თანახმად, ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი ხელისუფლების ორგანოებს დელეგირებული ჰქონდათ ავტონომიური რესპუბლიკების საჯარო სამსახურის თანამდებობათა რეესტრის დამტკიცების უფლებამოსილება.

დღეის მდგომარეობით, საქართველოს პრეზიდენტის 2001 წლის 21 ივლისის №286 ზემოაღნიშნული ბრძანებულება, საქართველოს პრეზიდენტის 2015 წლის 2 თებერვლის №36 ბრძანებულებით ძალადაკარგულად არის გამოცხადებული, ვინაიდან „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში 2013 წლის 20 სექტემბერს განხორციელებული ცვლილებით, საჯარო სამსახურის თანამდებობათა რეესტრის დამტკიცების უფლებამოსილება საქართველოს მთავრობას მიენიჭა.

აღნიშნულის გათვალისწინებით საქართველოს მთავრობის 2014 წლის 29 სექტემბრის №576 დადგენილებით დამტკიცებულია სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საჯარო სამსახურის თანამდებობათა რეესტრი. აღნიშნულ დადგენილებაში საქართველოს მთავრობის მიერ 2015 წლის 1 ივნისს შეტანილი ცვლილებით (დადგენილება №241, გამოქვეყნებულია: სსმ ვებგვერდზე 01.06.2015 წელი) დამტკიცდა ავტონომიური რესპუბლიკების წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოების საჯარო თანამდებობათა რეესტრი, მათ შორის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოს (საქართველოს მთავრობის) მიერ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 69-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, მიღებულია შესაბამისი ნორმატიული აქტი, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ნორმატიული აქტების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 35-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის მოთხოვნათა გათვალისწინებით, იგი იწვევს უმაღლესი საბჭოს 2012 წლის 27 დეკემბრის №19 დადგენილების იურიდიული ძალის დაკარგვას.

აღსანიშნავია, რომ შესაბამისი საჯარო თანამდებობათა რეესტრები თავიანთი დადგენილებებით დამტკიცებული ჰქონდათ აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების მთავრობებს, რომლებმაც ძალადაკარგულად გამოაცხადეს ისინი. კერძოდ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2015 წლის 8 ივლისის №12 დადგენილებით ძალადაკარგულად გამოცხადდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2011 წლის 22 თებერვლის №9 დადგენილება „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ხელისუფლების საჯარო თანამდებობათა რეესტრის შესახებ“; ხოლო აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2015 წლის 10 ივლისის №26 დადგენილებით ძალადაკარგულად გამოცხადდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2012 წლის 12 დეკემბრის №14 დადგენილება „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის საჯარო სამსახურის თანამდებობათა რეესტრის შესახებ“, რომლითაც აფხაზეთის ავტონომიური

რესპუბლიკის აღმასრულებელი ხელისუფლების საჯარო თანამდებობათა რეესტრთან ერთად, ასევე დამტკიცებული იყო აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის საჯარო თანამდებობათა რეესტრიც.

ამასთანავე მხედველობაშია მისაღები, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს ახალი კანონის (რომელიც ძალაში შედის 2017 წლის 1 ივლისიდან) 25-ე მუხლის შესაბამისად, საჯარო მოხელეთა მოქმედი თანამდებობათა რეესტრი იცვლება მოხელეთა თანამდებობების რანგირებით და ნაწილდება 4 იერარქიულ რანგში, ხოლო იერარქიულ რანგებში განაწილების უნიფიცირებულ წესს და შესაბამისი იერარქიული რანგისთვის მიკუთვნებულ მოხელეთა თანამდებობების იერარქიულ ჩამონათვალს განსაზღვრავს საქართველოს მთავრობა.

ბ) დადგენილების პროექტის ძირითადი არსი:

პროექტის შესაბამისად, ძალადაკარგულად ცხადდება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2012 წლის 27 დეკემბრის №19 დადგენილება „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის საჯარო თანამდებობათა რეესტრის შესახებ“.

გ) იმ შედეგების საფინანსო-ეკონომიკური გაანგარიშება, რომლებსაც გამოიწვევს წარდგენილი დადგენილების პროექტის მიღება:

დადგენილების პროექტი არ საჭიროებს საფინანსო-ეკონომიკურ გაანგარიშებას.

დ) დადგენილების პროექტის ავტორი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრი – დავით გაბაიძე.

ე) დადგენილების პროექტის ინიციატორი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრი – დავით გაბაიძე.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დადგენილების პროექტზე „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის საჯარო თანამდებობათა რეესტრის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2012 წლის 27 დეკემრის №19 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დადგენილების პროექტი „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის საჯარო თანამდებობათა რეესტრის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2012 წლის 27 დეკემრის №19 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე (09-01-08/17, 02.02.2017 წ.) **(ინიციატორი უმაღლესი საბჭოს წევრი დავით გაბაიძე)** საორგანიზაციო და საქმისწარმოების დეპარტამენტში დარეგისტრირდა 2017 წლის 2 თებერვალს.

უმაღლესი საბჭოს ბიუროს 2017 წლის 7 თებერვლის გადაწყვეტილებით დაიწყო განხილვის პროცედურა. წამყვან კომისიად განისაზღვრა საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისია, ხოლო საკომისიო განხილვის ვადად 09,02,2017 წელი.

წამყვანი კომისიის და აპარატის იურიდიული და საკადრო საკითხთა დეპარტამენტის დასკვნები უმაღლესი საბჭოს საორგანიზაციო და საქმისწარმოების დეპარტამენტში შემოვიდა ბიუროს გადაწყვეტილებით დადგენილი ვადების დაცვით.

უმაღლესი საბჭოს ბიუროს 2017 წლის 9 თებერვლის გადაწყვეტილებით საკითხი შევიდა უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე სესიაზე განსახილველად.

ინიციატივა პლენარულ სხდომაზე წარდგენილია რეგლამენტით და სხვა ნორმატიული აქტებით განსაზღვრული საპროცედურო მოთხოვნების შესაბამისად.

დეპარტამენტის უფროსი: /გიორგი ბერიძე/

09.02.2017 წელი